საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ.ბათუმი 2010 წლის 06 სექტემბერი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 8

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2010-2011 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისა და სასწავლო წლის შეუფერხებლად წარმართვის ღონისძიებების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის 49-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი წარიმართოს შემდეგი ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად:

– 2010-2011 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სალექციო-საუდიტორიო სამუშაოები სწავლების ყველა საფეხურზე დაიწყოს 27 სექტემბერს, ორშაბათს და დამთავრდეს 2011 წლის 14 იანვარს, პარასკევს.

– დავალიანების დაფარვის ვადა განისაზღვროს მიმდინარე წლის 27 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის (მუსიკის ფაკულტეტზე 31 ოქტომბრის) ჩათვლით.

– შემოდგომის სემესტრის ადმინისტარციული რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 01 სექტემბრიდან 24 სექტემბრამდე, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა.

– საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2010 წლის 31 დეკემბრიდან 2011 წლის 10 იანვრამდე;

– მიმდინარე მეცადინეობათა აღდგენა მოხდეს 2011 წლის 17 იანვრიდან 21 იანვრის ჩათვლით;

– შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2011 წლის 24 იანვრიდან 11 თებერვლის ჩათვლით.

- დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 14 თებერვლიდან 19 თებერვლის ჩათვლით.

– გაზაფხულის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 14 თებერვლიდან 21 თებერვლამდე;

– გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2011 წლის 21 თებერვალს, ორშაბათს და დამთავრდეს 2010 წლის 3 ივნისს, პარასკევს.

– მიმდინარე მეცადინეობათა აღდგენა მოხდეს 2010 წლის 6 ივნისიდან 10 ივნისის ჩათვლით;

– გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2011 წლის 13 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით;

– დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2010 წლის 4 ივლისიდან 12 ივლისის ჩათვლით;

– კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება მოხდეს 2010 წლის 13 ივლისიდან 18 ივლისის ჩათვლით.

– სალექციო-სააუდიტორიო მეცადინეობები ჩატარდეს ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა და დაიწყოს დილის 10 საათზე. განსაკუთრებულ შემთხვევაში დასაშვებია შაბათ-კვირას სალექციო-სააუდიტორიო და ინდივიდუალური მეცადინეობები.

– აკადემიური საათი განისაზღვროს 50 წუთით, ხოლო მეცადინეობებს შორის შუალედი - 10 წუთით.

– მუსიკის ფაკულტეტზე აკადემიური საათი განისაზღვროს 60 წუთით, ხოლო მეცადინეობებს შორის შუალედი 10 წუთით, ინდივიდუალური სამუშაოს ხანგრძლივობა დგინდება ფაკულტეტის დეკანთან და დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით.

2. დადგენილებით იხელმძღვანელონ ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტებმა და სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა.

3. წინამდებარე დადგენილების საფუძველზე გამოიცეს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 6 სექტემბრის სხდომის (ოქმი № 2) დადგენილება.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე.მესხია**